სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№4 (292) აპრილი, 2016 წელი

გვ 2

აქცია – „გაამწვანე უდაბნოს“ ფარგლებში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სსიპ-ეროვნული საშენი მეურნეობის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივი ღონისძიება ჩატარდა დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსისკენ მიმავალ გზაზე, სოფელ უდაბნოსთან, სადაც სამ რიგად დაირგო თუთის ხის ნერგები. გამწვანების აქციაში მონაწილეობდნენ: თსსუ-ის კანცლერი, პროფესორი **ზურაბ ორჯონიკიძე** და სტუდენტები, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და ეროვნული საშენი მეურნეობის თანამშრომლები. მონაწილეებს შეხვდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი **გიგლა აგულაშვილი.**

გვ 3

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და აშშ ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის (WRAIR) საქართველოს წარმომადგენლობას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

გვ 3

სტუდენტური გვერდი

გვ 4

- „ზამთრის სკოლა – ბაკურიანი“
- სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა
- LOST IN MUSIC

გვ 5

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში განსაკუთრებული კლინიკური შემთხვევა დაფიქსირდა:
ანაერობული კლოსტრიდიული პარაპროქტიტი მუცლის წინა, გვერდით ზედაპირებზე გავრცელებული აიროვანი განგრენით, ნეკროზული ფასციომიოზიტით



გვ 6

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი 25 წლისაა. სამეცნიერო დაწესებულებისთვის, ცხადია, ეს დიდი დრო არ გახლავთ, თუმცა, აქ ჩატარებულმა კვლევებმა დადებითი რეზონანსი გამოიწვია როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

გვ 5

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის თერაპიული სამსახურის ნეონატოლოგიურ მიმართულებაში დაისვა იშვიათი დაავადების – პატაუს სინდრომის (Patau syndrome) დიაგნოზი.

სეზონური სკოლა – „რადიაციული მედიცინა XXI საუკუნეში, – ტენდენციები, პრობლემები და გადაწყვეტის გზები“

გვ 2

გვ 2

თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ეზოში, ფარმაციის ხეივანში, ლატვიური წარმოშობის ღვაწლმოსილი მეცნიერის, ედუარდ აბოლსის, საპატიო ვარსკვლავი გაიხსნა.

გვ 8

თსსუ-ის სტუდენტებს, რეზიდენტებს, აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალს, უნივერსიტეტის კლინიკების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებს ნებაყოფლობით უტარდებათ სკრინინგ-ტესტები თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკასა და გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში. კვლევის ხარჯებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დაფარავს.
სკრინინგ ტესტირებისთვის რეგისტრაცია მიმდინარეობს: http://chepatiti.tsmu.edu/

9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს

2016 წლის 9 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს, სანთლები დაანთეს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე დაღუპული 21 ადამიანის ხსოვნას.

დავით საგანელიძეს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს, დავით საგანელიძეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მედიცინის დარგში გაწეული ღვაწლისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში წარმატებული მოღვაწეობისთვის, საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

აქცია – „გაამწვანე უდაბნოს" ფარგლებში

სოფელ უდაბნოსთან, დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსისკენ მიმავალ გზაზე, აქცია „გაამწვანე უდაბნოს" ფარგლებში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სსიპ-ეროვნული საშენი მეურნეობის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივი ღონისძიება ჩატარდა – სამრიგად დაირგო თუთის ხის ნერგები. გამწვანების აქციაში მონაწილეობდნენ: თსსუ-ის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე და სტუდენტები, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და ეროვნული საშენი მეურნეობის თანამშრომლები. მონაწილეებს შეხვდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი. მან მადლიერებით აღნიშნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წვლილი ბუნების დაცვისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

თსსუ-ის კანცლერმა, პროფესორმა ზურაბ ორჯონიკიძემ აღნიშნა, რომ გარემოზე ზრუნვა და გამწვანება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმეა და ამ საქმეში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველთვის იქნება საიმედო მხარდამჭერი.

სეზონური სკოლა – „რადიაციული მედიცინა XXI საუკუნეში – ტენდენციები, პრობლემები და გადაწყვეტის გზები"

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკისა და ბიოფიზიკის დეპარტამენტის ბაზაზე ჩატარდა სეზონური სკოლა „რადიაციული მედიცინა XXI საუკუნეში – ტენდენციები, პრობლემები და გადაწყვეტის გზები". პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა.

პროექტში მონაწილეობდნენ უცხოეთიდან მოწვეული პროფესორები:

მადან რეჰანი – მშვიდობის დარგში 2005 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი; სამედიცინო ფიზიკის საერთაშორისო ორგანიზაციის 2013 წლის პრემიის "Outstanding contributions over the last 50 years" ლაურეატი; სამედიცინო ფიზიკის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOMP) ვიცე-პრეზიდენტი, რადიოლოგიური დაცვის საერთაშორისო კომისიის (ICRP) მედიცინაში რადიაციული დაცვის კომიტეტის მდივანი, ჰარვარდის უნივერსიტეტის (აშშ) მოწვეული პროფესორი, **სორენ მათსონი** – სამედიცინო ფიზიკის საერთაშორისო ორგანიზაციის 2013 წლის პრემიის "Outstanding contributions over the last 50 years" ლაურეატი; ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორი, შვედეთის რადიაციული დაცვის კომისიის წევრი.

პოექტის დახურვის ცერემონიაზე თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკას ეწვივნენ: პროექტის ხელმძღვანელი, თსსუ-ის პროფესორი თამარ სანიკიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამაზ მარსაგიშვილი, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის დირექტორი დავით ნადარეიშვილი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვასილ გედევანიშვილი, თსსუ-ის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, სტუდენტები.

სტუდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა მესამე საერთაშორისო სამედიცინო და ფარმაცევტული კონგრესი უკრაინაში

2016 წლის 5 აპრილიდან 11 აპრილამდე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი დავით დელიბაშვილი და უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია მივლინებით იმყოფებოდნენ ქალაქ ჩერნივცის (უკრაინა) ბუკოვინის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. სადაც მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა მესამე საერთაშორისო სამედიცინო და ფარმაცევტული კონგრესის მუშაობაში.

მოლდოველი პროფესორების ლექციები თსსუ-ში

2016 წლის 11-13 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ოფიციალური ვიზიტით ეწვივნენ ნიკოლაე ტესტინიატუს სახელობის მედიცინისა და ფარმაციის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (მოლდოვა) პროფესორები: **ვიორელ ნაკუ** - ქსოვილთა ბანკის დირექტორი, ქსოვილთა ინჟინერიისა და უჯრედული კულტურის ლაბორატორიის ხელმძღვანელი; **ოლგა ტაგადიუსი** - ბიოქიმიისა და კლინიკური ბიოქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და პროფესორი **ვიქტორ ბოტნარუ** - პულმონოლოგიისა და ალერგოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

მოლდაველმა კოლეგებმა სამედიცინო უნივერსიტეტის ქართულ და ინგლისურენოვანი სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის წაიკითხეს ლექციები;

საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე მედიცინის აქტუალური საკითხები"

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე მედიცინის აქტუალური საკითხები".

კონფერენცია ოფიციალურად გახსნეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა **ხათუნა თოდაძემ** და ვიცე-რექტორმა, პროფესორმა **რიმა ბერიაშვილმა**.

კონფერენციის ფარგლებში ამერიკელმა კოლეგებმა სამედიცინო უნივერსიტეტის ქართულ და ინგლისურენოვანი სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის წაიკითხეს ლექციები.

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ძალისმიერ სპორტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ძალისმიერ სპორტში (წოლჭიმსა და ბიცეპსზე წონის აწევაში) სტუდენტთა შორის, სადაც 80-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა საქართველოს 9 სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან საუკეთესო შედეგები აჩვენა და მედლები მოიპოვა სამმა სტუდენტმა: ჭაბუკა ჭიღლაძე — წოლჭიმი მძიმე წონაში, ოქროს მედალი და აბსოლუტურ ჩათვლაში ვერცხლის მედალი; სოლომონ თედიაშვილი — ბიცეპსზე წონის აწევა 67, 5 კგ. წონით კატეგორიაში, – ოქროს მედალი; ბექა მახათაძე — ბიცეპსზე წონის აწევა 82, 5 კგ. წონით კატეგორიაში, – ოქროს მედალი და აბსოლუტურ ჩათვლაში — ოქროს მედალი.

ასევე, ძალისმიერ სპორტში საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში საუკეთესო გუნდური შედეგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა აჩვენა.

ედუარდ აბოლსის ვარსკვლავი გაიხსნა

თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ეზოში, ფარმაციის ხეივანში, ლატვიური წარმოშობის მეცნიერის, ედუარდ აბოლსის, საპატიო ვარსკვლავი გაიხსნა.

ედუარდ აბოლსი ფარმაკობოტანიკის განყოფილებას ჯერ კიდევ საქართველოს პირველ უნივერსიტეტში ჩაუდგა სათავეში. 1926 წლიდან ის ფარმაკობოტანიკის კათედრის გამგე გახლდათ, 1932 წლიდან კი – ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში ამავე მიმართულებას ხელმძღვანელობდა. მთელი ცხოვრება გაატარა საქართველოში, შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას, იყო დიდი მეცნიერი, პოლიგლოტი...

ვარსკვლავის გახსნა მისი საქართველოში მოღვაწეობის 90 წლისთავს მიეძღვნა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ლატვიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ქალბატონი ელიტა გაველე; ლატვიის საელჩოს სხვა წარმომადგენლები; ედუარდ აბოლსის შთამომავლები; თსსუ-ის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე; ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ნანა გორგასლიძე,; ფინანსური დირექტორი ზურაბ ანთელიძე; ცნობილი და სახელოვანი მეცნიერები და ინსტიტუტის თანამშრომლები.

DAAD-ის წარმომადგენლები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრს ეწვივნენ: გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) თბილისის ოფისის ხელმძღვანელი, დოქტორი მარტინ პრაქსენტალერი, ამავე სამსახურის სასწავლო და სასტიპენდიო პროგრამების კოორდინატორები: ნინო ანთაძე და თამარ შიშნიაშვილი და ბონის უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი, ავსტრიისა და გერმანიის პედიატრთა საზოგადოების საპატიო წევრი, თსსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი მიხაელ ლენტცე.

სტუმრები გაეცნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლების მეთოდებს სიმულატორების გამოყენებით. მათ მაღალი შეფასება მისცეს ცენტრის შესაძლებლობებს და ისაუბრეს ცენტრის განვითარების პერსპექტივებსა და სამომავლო თანამშრომლობაზე.

უცხოელი პროფესორების ლექციები

სამედიცინო უნივერსიტეტს ოფიციალური ვიზიტით ეწვივნენ გერმანელი პროფესორები: ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტის, კოხ-მეჩნიკოვის ფორუმის ტუბერკულოზის სექციის ხელმძღვანელი, გერმანიის ჯანდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ჯანდაცვის პოლიტიკის ექსპერტი, თსსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი ტიმო ულრიხსი, კოხ-მეჩნიკოვის ფორუმის პრეზიდენტი, თსსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი ჰელმუტ ჰანი, კოხ-მეჩნიკოვის ფორუმის მიკრობიოლოგიის სექციის ხელმძღვანელი, დოქტორი მარლიეს ჰოეკი, ნიურნბერგის იმპლანტოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელი, დოქტორი იოჰან ალიუსი.

უცხოელმა პროფესორებმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის წაიკითხეს ლექციები.

პროფესორი გენადი ბრატისლავსკის ლექცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის (ამერიკის შეერთებული შტატები) უროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გენადი ბრატისლავსკი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია და ლექცია წაიკითხა თსსუ-ის სტუდენტებისთვის.

ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (EMSA) გენერალური ასამბლეა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (EMSA) ვიცე-პრეზიდენტი საფა ცანცი, რომელმაც, საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად, დაათვალიერა და გაეცნო მიმდინარე წლის 8-15 მაისს დაგეგმილი ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (EMSA) საგაზაფხულო ასამბლეის საორგანიზაციო საკითხებს. ვიზიტის ფარგლებში EMSA-ს ვიცე-პრეზიდენტი საფა ცანცი შეხვდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, ვიცე-რექტორს, პროფესორ ხათუნა თოდაძეს, ვიცე-რექტორს, პროფესორ რიმა ბერიაშვილს და სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, გიგა სორდიას.

შეხვედრაზე განიხილეს 2016 წლის 8-15 მაისს დაგეგმილი ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის (EMSA) გენერალური ასამბლეის ჩატარების მნიშვნელოვანი საკითხები, რომლის მასპინძელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტია და მასში მონაწილეობას მიიღებს ევროპის 20 ქვეყნის 130-მდე დელეგატი.

TILAK-ის წარმომადგენლები თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ ტიროლის მხარის ჰოსპიტალთა გაერთიანება TILAK-ის (ავსტრია) დირექტორი, ბატონი შტეფან დეფლორიანი, TILAK-ის დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრ AZW-ს ხელმძღვანელები: ბატონი ვალტერ დრაქსლი და ქალბატონი ვალტრაუდ ბუხბერგერი და თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკის სხივური თერაპიისა და რადიონოკოლოგიის ცენტრის უფროსი, ექიმი ირმა კვიცარიძე, რომელიც მუდმივად ზრუნავს მშობლიური უნივერსიტეტისათვის, მისი მცდელობის შედეგია საექთნო ბაკალავრის ქართულ-ავსტრიული პროგრამის ამოქმედებაც თსსუ-ში. მან თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის წაიკითხა ლექცია – „სხივური თერაპია; ზოგადი მიმოხილვა".

„ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის" აქტიურ წევრად ინაუგურაცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი რამაზ შენგელია მიწვეული იყო ავსტრიაში, მისი „ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის" აქტიურ წევრად ინაუგურაციასთან დაკავშირებით.

ინაუგურაციის ცერემონიალზე პროფესორ რამაზ შენგელიას გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი. მან მონაწილეობა მიიღო სესიაში, რომელზეც განიხილეს „მომავალი ევროპის" კონცეფცია. პროფესორ რამაზ შენგელიას მიერ წარდგენილი მოსაზრებები შევა წიგნში, „Next Europe."

თეიმურაზ ნათაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის „ცისფერ დარბაზში" ღვაწლმოსილი ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის, პათოფიზიოლოგის, პროფესორი თეიმურაზ ნათაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

ღონისძიებას უძღვებოდა პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი თეიმურაზ პეტრიაშვილი.

წარმოდგენილი იყო მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელმაც კიდევ ერთხელ გააცოცხლა დიდი მეცნიერი და პიროვნება, მისთვის დამახასიათებელი არაერთი საინტერესო შტრიხით.

განახლებული საექიმო კაბინეტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის, ბატონი ზაურ ფხალაძის, ინიციატივით და თსსუ-ის ადმინისტრაციის თანადგომით, მიმდინარე სასწავლო წლიდან განახლდა, გარემონტდა და აუცილებელი სამედიცინო ხელსაწყოებით აღიჭურვა თსსუ-ის საექიმო კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოცდილი ექიმი, ბატონი ვალერი მელაძე.

2015 წლის სექტემბრიდან დღემდე თსსუ-ის კაბინეტის მომსახურეობით ისარგებლა 100-ზე მეტმა სტუდენტმა და თანამშრომელმა. უნივერსიტეტის სტუდენტმა-სპორტსმენებმა კი სპეციალურად შემუშავებული ფიზიკური მეთოდის საშუალებით გაიარეს ფსიქო-ემოციური შემოწმება.

CMYK

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის (WRAIR) საქართველოს წარმომადგენლობას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის (WRAIR) საქართველოს წარმომადგენლობას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს კლინიკური და ლაბორატორიული კვლევების სფეროში სასწავლო სტაჟირებას დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ფარგლებში.

პროექტი, რომლის იდეაც თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელებს და ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს წარმომადგენლობას ეკუთვნის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალებას მისცემს, სასწავლო პროგრამის კვლევითი ნაწილი რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრში გაიარონ და გაეცნონ მიმდინარე საერთაშორისო პროექტებს.

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს ხელი მოაწერეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ და ვოლტერ რიდის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა დანა რენტამ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე, ვიცე--რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, ვიცე-რექტორი გიორგი აბესაძე, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი, ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) პროფესორი, საქართველოსა და თბილისის საპატიო მოქალაქე კენეტ ვოლკერი, ემორის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასისტენტ-პროფესორი, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი არჩილ უნდილაშვილი, აშშ-ის არმიის სამედიცინო კვლევის საქართველოს განყოფილების დირექტორი მარკ ჰართელი, აშშ-ის არმიის სამედიცინო კვლევის საქართველოს განყოფილების საერთაშორისო პროგრამების დირექტორი ბრეტ ტეილორი და აშშ-ის არმიის სამედიცინო კვლევის საქართველოს განყოფილების ბიზნესმენეჯერი არჩილ გაგნიძე.

აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება განთავსებულია რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის ცენტრში. პროექტის ფარგლებში განხორციელებული თანამშრომლობით ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული სამედიცინო განათლების და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ემორის უნივერსიტეტთან (აშშ, ატლანტა) თანამშრომლობით ხორციელდება და ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის კურიკულუმზეა დაფუძნებული. სტუდენტების ფუნდამენტურ და კლინიკურ კვლევებში მონაწილეობა და სამეცნიერო გამოცდილების შეძენა პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

„წარმატებული დიგიტალური კამპუსის განვითარება ევროპის უნივერსიტეტებში“

2016 წლის 6-9 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ ირლანდიაში, ქ. გალვეიში, სადაც დაესწრნენ ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციას „წარმატებული დიგიტალური კამპუსის განვითარება ევროპის უნივერსიტეტებში“, მონაწილეობა მიიღეს გენერალურ ასამბლეასა და კენჭისყრაში.

კონფერენციის მუშაობა ძირითადად მიეძღვნა სწავლების პროცესის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, კერძოდ, ახალი ტექნოლოგიების განვითარებას და მათ გავლენას სასწავლო და კვლევით პროცესებზე.

კონფერენცია ჩატარდა ირლანდიის ეროვნულ უნივერსიტეტში. ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა და საპროგრამო მოხსენებით წარდგა ირლანდიის პრეზიდენტი, მაიკლ ჰიგინსი.

„რეალობა, რეაქცია, რეაბილიტაცია“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინტეგრაციის ცენტრ – „რეასთან“ უკვე წელიწადზე მეტია მეგობრობს. ამ ხნის მანძილზე განხორციელდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, მედია პალიტრისა და „რეას“ ერთობლივი პროექტი – „რეალობა, რეაქცია, რეაბილიტაცია“. თსსუ-ში შეიქმნა კლუბი „ტრირეა“, რომელშიც გაერთიანებული არიან ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტები. როგორც მათი ამჟამინდელი ხელმძღვანელი ბექა ძიძიგური ამბობს, „ტრირეასთვის“ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კლიშეების რღვევა და ისეთი ჰარმონიული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები სრულფასოვან ცხოვრებას შეძლებენ.

პროექტი „რეალობა, რეაქცია, რეაბილიტაცია“ ერთწლიანი იყო და დასრულდა. ამ ხნის მანძილზე „რეას“ ბენეფიციარებმა, კლუბმა „ტრირეამ“ არაერთი მეგობარი შეიძინეს:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მინისტრი თამარ სანიკიძე; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მინისტრი დავით სერგეენკო; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მინისტრი გიგლა აგულაშვილი; საქართველოს ეროვნული მუზეუმი და მისი გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, მისი ხელმძღვანელობა და გახმაურებული სპექტაკლის – „მოხუცი ჯამბაზების“ რეჟისორი და მსახიობები, საქართველოს რაგბის კავშირი...

როგორც შშმ პირთა ინტეგრაციის ცენტრის დამფუძნებელი, ქალბატონი ელისო რეხვიაშვილი აღნიშნავს, ამ წელიწადმა მათ ბევრი სასიკეთო რამ მოუტანა. ის განსაკუთრებულ მადლობას უხდის თსსუ-ის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, თსსუ-ის სტუდენტებს, მედიაპალიტრასა და პროექტის ფოტოგამოფენისთვის გადაღებული სურათების ავტორებს: ირაკლი შალამბერიძეს (მედიაპალიტრა), გიორგი ფრიდონიშვილს (თსსუ) და ამირან ქინქლაძეს (საქართველოს რაგბის კავშირი).

მეგობრობა გრძელდება.

სამაგალითო მეცნიერი და პიროვნება

ამა თუ იმ ადამიანის სახელი და გვარი თითოეულ ჩვენგანში ემოციებისა და ასოციაციების მთელ სპექტრს იწვევს. ემოციების პალიტრა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მოქალაქეობრივ და ადამიანურ თვისებებთან, ქვეყნისა და ერის წინაშე დამსახურებასთან არის დაკავშირებული პიროვნება.

საქმის ერთგულება, შრომისმოყვარეობა, ფუნდამენტური ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკულად რეალიზების უზადო უნარი, დარგის განვითარების სტრატეგიული ხედვა და შეუპოვარი შრომა დასახულის რეალიზებისთვის, თვითნაბადი ნიჭისთვის დამახასიათებელი დიდებული თავმდაბლობა — ეს არასრული ჩამონათვალია აკადემიკოს ეთერ ქემერტელიძის თვისებებისა და დამსახურებებისა.

ნამდვილად ძნელი დასაჯერებელია, რომ ქალბატონმა ეთერმა ცხრა ათეული წელიწადი შეასრულა. ძნელი დასაჯერებელი კი იმიტომაა, რომ მისი აზრის სისწრაფის, ინტელექტის დიაპაზონის და შრომისმოყვარეობის ბევრ ახალგაზრდასაც შეშურდება (კეთილი შურით!). ვფიქრობ, ეს, ღვთით ბოძებულთან ერთად, საქმის სიყვარულის და იმ თავდაუზოგავი შრომის შედეგია, რომელსაც ქალბატონი ეთერი უკვე 70 წელიწადია ეწევა.

ქალბატონი ეთერის მთელი შეგნებული ცხოვრება ფარმაციის, როგორც დარგის, განვითარებასთან არის დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ვიდრე დღემდე იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის კვლევითი მუშაობის ეტაპები მნიშვნელოვანწილად ეთერ ქემერტელიძის ინიციატივებთან და მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. ეთერ ქემერტელიძემ თანმიმდევრულად, მიზანდასახული შრომით განავითარა და დაამკვიდრა ბიოლოგიურად აქტიურ ცალკეული კლასის ნივთიერებათა ფუნდამენტური კვლევა და ობიექტურად ითვლება ამ სფეროს ფუძემდებლად. ქალბატონი ეთერის ინიციატივით შექმნილი ფიტოქიმიის ლაბორატორია კი ფიტოქიმიკოსთა ძლიერი სკოლის ჩამოყალიბების ღერძად იქცა. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს იგი ოცდაათ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა და ეს მეტად ნაყოფიერი პერიოდი იყო ამ დამსახურებული ინსტიტუტისათვის.

ეთერ ქემერტელიძის, მისი თანამოაზრეების და მოსწავლეების მიერ გამოვლენილი და შესწავლილია საინტერესო ქიმიური შედგენილობის და ბიოლოგიური ეფექტურობის მქონე მრავალი მცენარე, გამოყოფილია ბევრი ინდივიდუალური კომპონენტი, მათ შორის — ასეულობით ახალი ბუნებრივი ორგანული ნივთიერება. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეთერ ქემერტელიძის თაოსნობით ჩატარებული ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე შეიქმნა სხვადასხვა დანიშნულების პრეპარატები, რომლებიც დღეს ორგანიზებულად გამოდის და ნებადართულია პრაქტიკაში გამოსაყენებლად. ამ მიმართებით ფართო საექსპლოატაციო ბუნებრივი რესურსების მქონე სათითურას ენდემური სახეობის — წამწამოვანი სათითურას აღნიშვნაც კი საკმარისია, რომელიც რადიკალური საგულე გლიკოზიდების — დიგიტოქსინისა და აცეტილდიგიტოქსინის ნედლეულადაა მოწოდებული.

ქალბატონი ეთერი სამაგალითოა როგორც ადამიანი, მეცნიერი, პედაგოგი, მოქალაქე...

სასიხარულო და საამაყოა, რომ იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი კვლავ მისი მშობლიური უნივერსიტეტის — სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური სივრცის წევრია. გვჯერა, ერთობლივი ძალისხმევით კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ საქართველოში მედიცინის და ფარმაციის დარგების ჰარმონიული და ეფექტური განვითარებისათვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

სტუდენტური ცხოვრება

„ზამთრის სკოლა - ბაკურიანი“

„ზამთრის სკოლა – ბაკურიანმა“, გარდა პროფესიული განვითარებისა, მოგვცა ერთ სივრცეში დასვენებისა და გართობის, ერთმანეთის უკეთ გაცნობის საშუალება. ყოველ საღამოს იმართებოდა წინასწარ დაგეგმილი წვეულებები. სტუდენტები, ინდივიდუალური ნომრების საშუალებით, სხვადასხვა კუთხით გვაცნობდნენ თავს. იმართებოდა თამაშები, რომლებშიც გამარჯვებულები წამახალისებელი პრიზებით დაჯილდოვდნენ. მათ შორისაა სასურველი საჩუქარი, — „ზამთრის სკოლა – ბაკურიანი 2017“ - ის საგზური. მთელი საღამოს განმავლობაში ჩვენს განწყობაზე ზრუნავდნენ DJ-ები: რეზი ბაზიერი და გიგა აჭარაძე, საყურადღებოა, რომ ეს მოყვარული DJ-ები თსსუ-ის წარმატებული სტუდენტები არიან. წარუშლელი შთაბეჭდილებები, ახალი მეგობრები, დაუვიწყარი მოგონებები და ბევრი ღიმილიანი წუთი არის მიზეზი იმისა, რომ „ზამთრის სკოლა ბაკურიანის“ მონაწილეების რაოდენობა ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდება.

ნინო ზივზივაძე,
მედიცინის ფაკულტეტის IV სემესტრის სტუდენტი

სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული, როგორც საქველმოქმედო, ასევე, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში. სტუდენტური თვითმმართველობა ყოველთვის ზრუნავს სტუდენტების დახმარებაზე და ცდილობს, უფრო ხელმისაწვდომი გახადოს მათთვის სამედიცინო განათლების მიღება. ეს პროგრამაც სწორედ ამ მიზნით არის შექმნილი. ახალგაზრდებს, რომლებსაც სურთ მიიღონ განათლება სამედიცინო უნივერსიტეტში და არ აქვთ შესაბამისი მატერიალური შესაძლებლობა, შანსი ეძლევათ, მიიღონ დახმარება. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის სწავლის გადასახადის ნაწილობრივ დაფარვას. ინიციატორი თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობაა, რომელმაც დღემდე, პროგრამის ფარგლებში, სწავლა დაუფინანსა 60-ზე მეტ სტუდენტს. პროგრამაში დარეგისტრირება შეუძლია სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს ან რამდენიმეს ერთდროულად:

- მრავალშვილიანი ოჯახის წარმომადგენელი სტუდენტი (ოთხი და მეტი შვილი);
- მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი;
- დედ-მამით ობოლისტუდენტი; თსსუ-ის ორი და მეტი სტუდენტი ერთი ოჯახიდან;
- სოციალურად დაუცველი სტუდენტი

სამომავლოდ იგეგმება ამ პროექტისთვის გათვალისწინებული თანხის გაზრდა, რაც გულისხმობს დაფინანსებული სტუდენტების რიცხვის გაზრდასაც. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის პროექტი, სამედიცინო უნივერსიტეტის გარდა, არცერთ უნივერსიტეტს არ გააჩნია.

დადუ ხუხუნაშვილი,
ჯანდაცვის ფაკულტეტის II სემესტრის სტუდენტი

ხოხბა-ბუ ყურადღებაში

მეცნიერები ახალ ანალგეტიკზე მუშაობენ

პეპტიდი, რომელიც პერუს ტარანტულას შხამისგან მიიღება, შეიძლება ახალი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატის საფუძვლად იქცეს. ავსტრალიელი მეცნიერები კუინსლენდის უნივერსიტეტიდან თვლიან, რომ ასეთი ანალგეტიკი გაცილებით ეფექტური იქნება, ვიდრე არსებული ანალოგები. ამასთანავე, ის არ გამოიწვევს ძლიერ მიჩვევას. ავტორთა ჯგუფმა, სონია ჰენრიკესის ხელმძღვანელობით, გამოყო პეპტიციდი ProTx-II პერუს მწვანე ტარანტულას შხამისგან, შეისწავლეს მისი სტრუქტურა და ის, თუ როგორ მოქმედებს იგი ნეირონების უჯრედულ მემბრანაზე. მათ აღმოაჩინეს, რომ ProTx-II თრგუნავს ტკივილის გამომუშავებას NaV1.7.-სგან. მომავალში იგეგმება ტკივილგამაყუჩებელი ეფექტის დეტალური შესწავლა.

პერუს ტარანტულას შხამი პოტენციური ანალგეტიკების სიაში 2014 წელს შეიტანეს იელის უნივერსიტეტის მკვლევრებმა. მაშინ მათ ობობის, დაახლოებით, ასი სახეობა და მათ მიერ გამოყოფილი შხამი შეისწავლეს.

http://www.upi.com/Health_News

LOST IN MUSIC

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რომ ნიჭიერი სტუდენტები სწავლობენ, ამის ნათელი მაგალითია ნიკოლოზ გოგიტიძეა, რომელიც მედიცინის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია.

ნიკოლოზი 1995 წელს ქუთაისში დაიბადა. მუსიკალური ნიჭი დედისგან ერგო, რომელიც უკრავს და მღერის.

მისი პირველი დებიუტი II კლასში, ჯაზ-ბენდ „აისში“, შედგა, რომლის ხელმძღვანელი ყველასთვის კარგად ნაცნობი დავით ჯანელიძე გახლავთ.

ნიკოლოზმა ასევე დაამთავრა მუსიკალური შვიდწლედი. უკრავს ფორტეპიანოზე, საქსაფონზე და გიტარაზე, თუმცა, ყველასთვის გასაოცრად, პროფესიად ექიმობა აირჩია. მის ამ გადაწყვეტილებაში მშობლების როლი ძალიან დიდია.

კონკრეტულად მისი ინტერესის სფერო ქირურგიაა, საყვარელი საგანი — ფიზიოლოგია, ლექტორი კი — ქალბატონი ირინე კვაჭაძე. გარდა ამისა, ნიკოლოზი ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო აგენტად მუშაობს, ასევე, ტურისტულ კომპანიაში Iთ მენეჯერია. მართალია რთულია სწავლა, სამსახური და მუსიკა ერთმანეთს შეუთავსო, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს – „საყვარელი საქმისთვის დროს ყოველთვის გამოძებნი.“

პირველი დამოუკიდებელი ჯგუფი 2011 წელს მეგობრებმა შექმნეს, რომელსაც „Lost In Music“ უწოდეს. ნიკოლოზის ვოკალური დებიუტი სწორედ ამ ჯგუფში შედგა. ჯგუფის ყველაზე მასშტაბური კონცერტი ქუთაისში გაიმართა. წევრები თვითონაც ქმნიან სიმღერებს. მათი ერთ-ერთი სიმღერა, „გადის დრო“, რომელიც ნიკოლოზ ჯანელიძეს ეკუთვნის, დიდი პოპულარობით სარგებლობს. მუსიკალური ჯგუფი ჯერ მხოლოდ კერძო ღონისძიებებზე უკრავს, თუმცა, ფართო ასპარეზზე გამოჩენას გეგმავს.

ნიკოლოზის მთავარი დებიუტი წელს პროექტ „X ფაქტორში“ შედგა. ჯგუფმა შესარჩევი ტური დიდი წარმატებით გაიარა და ჟიურის სიმპათიები დაიმსახურა. ვიმედოვნებთ, რომ ნიკოლოზი და „Lost In Music“ დიდ წარმატებას მიაღწევს.

მარიამ მახნიაშვილი,
ჯანდაცვის ფაკულტეტის II სემესტრის სტუდენტი

გვერდი მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის IV სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, მარიამ ქეშიკაშვილმა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

ანაერობული კლოსტრიდიული პარაპროქტიტი მუცლის წინა, გვერდით ზედაპირებზე გავრცელებული აიროვანი განგრენით, ნეკროზული ფასციომიოზიტით (Paraproctitis acuta clostridialis)

ანაერობული კლოსტრიდიული პარაპროქტიტი დაავადების ყველაზე მძიმე ფორმაა. პროცესის საინკუბაციო პერიოდი ძალზე მოკლეა და შეადგენს 3-დან 6 საათამდე, ზოგჯერ – 1-2 დღეს. ინფექცია ვრცელდება დიდი სისწრაფით და წარმოქმნის აიროვან განგრენას. კლოსტრიდიული ინფექცია იწვევს უჯრედების და სხვა შუალედური სუბსტანციების დაშლას, სისხლის მიმოქცევის მოშლას.

გამომწვევი – ამ შემთხვევაში Clostridium septicum აპროდუცირებს ოთხ უძლიერეს ტოქსინს: ალფას, ბეტას, გამას, დელტას; იწვევს ინტრავასკულურ ჰემოლიზს, ქსოვილების ნეკროზს, მეტაბოლურ აციდოზს, ცხელებას და თირკმლის უკმარისობას; ზემოქმედებას ახდენს კუნთოვან-ფასციურ ქსოვილზე, იწვევს აირწარმოქმნას, ქსოვილების რღვევას ამორფული მასის სახით და ლპობას.

ძლიერი ტკივილი, ზოგადი მძიმე მდგომარეობა, ქსოვილების შეშუპება და კანის ფერის შეცვლა, კრეპიტაციის ანუ აიროვანი ბუშტუკების „ტკაცა-ტკუცის“ გამოჩენით იბადება აზრი აიროვანი განგრენის არსებობაზე.

კლოსტრიდიული ინფექციის დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ დაზიანებული ქსოვილის (კუნთი, ფასცია) ნაჭრის ბაქტერიოლოგიით.

პაციენტი ა, მამაკაცი, 38 წლის, მკურნალობდა თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის პროქტოლოგიის, ჩირქოვანი ქირურგიის და რეანიმაციის დეპარტამენტებში ანაერობული კლოსტრიდიული პარაპროქტიტის, მუცლის წინა და გვერდით კედლებზე გავრცელებული აიროვანი განგრენის გამო. რამდენიმე დღით ადრე იგი ოპერირებულია მწვავე ნალისმაგვარი პარაპროქტიტის გამო. ინფექციის გამომწვევი იყო ნაწლავის ჩხირი (enterobacter cloacae). მესამე დღეს გაეწერა გაუმჯობესებული მდგომარეობით.

ხუთი დღის შემდეგ პაციენტი შემოდის



ER განყოფილებაში ძლიერი ტკივილით და მუცლის შებერილობით, გულის რევით, ჰექტიური ცხელებით (39-40°C), დიზურიული მოვლენებით, ზოგადი მძიმე მდგომარეობით.

ურგენტულ რეჟიმში ჩატარდა მუცლის ულტრაბგერითი გამოკვლევა, მუცლის და მცირე მენჯის კტ კვლევები, კლინიკური, ბიოქიმიური გამოკვლევები.

ზოგადი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, კტ გამოკვლევების საფუძველზე ეჭვი მიიტანეს მუცლის წინა და გვერდით კედელზე ექსტრაპერიტონეალურად გავრცელებულ აიროვან ფლეგმონაზე.

ენდოტრაქეალური ნარკოზით ჩატარდა სასწრაფო ოპერაცია: ქვედა – შუა ლაპაროტომიური ექსტრაპერიტონეული განაკვეთით და განაკვეთით მარცხენა საზარდულის და შორისის მიმართულებით გაიხსნა ინფექციის კერა, საიდანაც გადმოიღვარა მყაყე სუნის ბუშტუკოვანი მოყავისფრო ფერის მასა, მუცლის სწორი და ირიბი კუნთების ნეკროზულ-დესტრუქციული ფასციო-მიოზიტი. დაზიანებული ქსოვილები ამოიკვეთა, გაკეთდა ნექრექტომია, კიურეტაჟი, ფართე დრენირება, სანაცია ანტისეპტიკებით. ამოჭრილი კუნთოვანი ბიოპტატები გაიგზავნა ბაქტრიოლოგიურ გამოკვლევაზე. ამოითესა Clostridium septicum.

მკურნალობა გაგრძელდა რეანიმაციის დეპარტამენტის, იზოლირებულ ბოქსში. პაციენტი იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე, ზოგადი მდგომარეობა იყო მძიმე, აღენიშნებოდა ძლიერი ინტოქსიკაცია და სეპტიკური შოკი (აპაჩის სკალით – 38%).

მიმდინარეობდა ინტენსიური ინფუზიური თერაპია (საინფუზიო შესაბამისი საშუალებებით, ცილოვანი კომპონენტებით, ჰემოტრანსფუზია და სხვა), მაღალი დოზებით ანტიბიოტიკოთერაპია (ტიენამი, ვანკომიცინი, კოლომიცინი), პერმანენტული მონიტორინგი აპაჩის სკალით, პროკალციტონინის, c-რეაქტიული ცილის მაჩვენებლების, ინტრააბდომინური წნევის განსაზღვრით.

კტ კვლევის საფუძველზე, (სულ ჩატარდა რვა კტ კვლევა), ჩატარდა დამატებითი ქირურგიული კორექციები. მე-15 დღეს შესრულდა ტრაქეოსტომია.

ერთობლივი რეანიმაციულ-ქირურგიული ღონისძიებების შედეგად, 25-ე დღიდან გამოიკვეთა დადებითი დინამიკა. ჭრილობები დასუფთავდა, ანაერობული მიკროფლორა არ ამოითესა, ჰემოდინამიური მონაცემები სტაბილური გახდა, დიურეზი – ადეკვატური, დეფეკაცია – ლაქტულოზის საშუალებით.

28-ე დღეს ჭრილობების კიდეები მიახლოებულ იქნა კვანძოვანი ნაკერებით.

30-ე დღეს მოიხსნა ინოტროპების მხარდაჭერიდან, შემდგომ კი – ფ.ხ.ვ.-დან. 33-ე დღეს ამოიღეს ტრაქეოსტომიული მილი, სუნთქვა იყო თავისუფალი, პაციენტი გადაიყვანეს ქირურგიულ სტაციონარში. ჭრილობები გაიკერა მთლიანად კვანძოვანი ნაკერით.

37-ე დღეს პაციენტი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაეწერა.

კლინიკური შემთხვევა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ:

- საქმე გვაქვს ანაერობული ინფექციის უკიდურესად მძიმე ფორმასთან – კლოსტრიდიულ პარაპროქტიტთან მუცლის წინა და გვერდით ზედაპირებზე გავრცელებული აიროვანი განგრენით და ნეკროზული ფასციომიოზიტით.
- მიკრობიოლოგიურად ინფექციის გამომწვევია – Clostridium septicum, უიშვიათესი და უაღრესად ტოქსიკური გრამდადებითი, სპორის წარმომქმნელი ანაერობული ბაქტერია, რომელიც სწრაფად პროგრესირებს და მიგრირებს, აზიანებს ყველა რბილქსოვილოვან სტრუქტურას (კუნთი, ფასცია), აპროდუცირებს ოთხ ტოქსინს, იწვევს აიროვან განგრენას, ინტრავასკულარულ ჰემოლიზს, ქსოვილების ნეკროზს, სეპტიურ შოკს. ლეტალობის მაჩვენებელი – 79-80%.
- კლინიკური შემთხვევის პოზიტიური გამოსავალი განპირობებულია:

ა) სასწრაფოდ (ურგენტულ რეჟიმში) წარმოებული ოპერაციით: ფართე განაკვეთებით დაზიანებული ქსოვილების ამოკვეთით, კიურიტაჟით, დრენირებით, სანაციით, ოქსიგენაციით, შემდგომი დამატებითი ქირურგიული კორექციებით (სულ 8 ოპერაცია), ყოველდღიური გაფართოებული შეხვევით საოპერაციო ბლოკში, ანტისტეზიოლოგიური მხარდაჭერით;

ბ) სწორად აგებული დიაგნოსტიკური ალგორითმით, ულტრაბგერითი და კტ კვლევებით, პროცესით დაზიანებული უბნების იდენტიფიკაციით;

გ) ადეკვატურად წარმოებული მასშტაბური რეანიმაციული ღონისძიებებით;

დ) ანტიბიოტიკოთერაპიის მაღალი დოზებით (ტიენამი, ვანკომიცინი, კოლომიცი), ბაქტერიოლოგიურად მგრძნობელობის პერმანენტული განსაზღვრით;

ე) ყველა სტრუქტურული რგოლის ერთობლივი, კომუნიკაბელური, მაღალი პროფესიული საქმიანობით.

თეიმურაზ აბულაძე – პროფესორი,
თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის პროქტოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი,
მედიცინის დოქტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა

პატაუს სინდრომი – მე-13 ქრომოსომის ტრისომია (Patau syndrome – Trisomy 13)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის თერაპიული სამსახურის ნეონატოლოგიურ მიმართულებაში (მკურნალი ექიმი, ნეონატოლოგი ნინო ჯაჯანიძე) დაისვა იშვიათი დაავადების – პატაუს სინდრომის (Patau syndrome) დიაგნოზი.

შემთხვევის აღწერა:

პაციენტი მდედრობითი სქესის, 9 დღის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკაში მოიყვანა კატასტროფის ცენტრის ბრიგადამ, მძიმე მდგომარეობაში. პაციენტს აღენიშნებოდა: ყბა-სახის დისმორფიზმი; მიკროცეფალია; ტრიგონოცეფალია; ვიწრო დამრეცი შუბლი; საგიტალური ნაკერები ღია – გადახსნილი; კეფაზე, კისრის და შუბლის მიდამოში გამოხატული კანის დეფექტები – მოლურჯო-მოწითალო ფერის ე.წ. ღვინის ლაქები; თვალის ჭრილი ვიწრო და ჰორიზონტალური, გამოხატული ორმხრივი მიკროფთალმი; ცხვირი ბრტყელი, განიერი, ძგიდე ჩავარდნილი; გამოხატული ზედა ტუჩის ალვეოლარული მორჩის მაგარი და რბილი სასის ორმხრივი მთლიანი ნაპრალი. ამასთან, პაციენტს აღენიშნებოდა კიდურების პათოლოგია: მტევნები ფლექსორულ მდგომარეობაში, მარჯვენა ზედა კიდურის ნეკა თითის ფალანგიდან გამოსული დამატებითი თითი; ფეხები ვიწრო, ძლიერად შეხრილი, ტერფები – საქანელისებურად გამოწეული. შინაგანი ორგანოების მხრივ გამოხატული იყო გულის თანდაყოლი მანკი – პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი. პაციენტს კლინიკაში ჩაუტარდა ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევები. აღებულ იქნა სისხლი ციტოგენეტიკური კვლევისთვის. კარიოტიპირების შედეგად გამოვლინდა: პრობანდი – მდედრობითი სქესი, ანომალიური კარიოტიპით – 47XX 13+. არსებული კლინიკური, პარაკლინიკური, დიაგნოსტიკური და ციტოგენეტიკური კვლევის

საფუძველზე დაისვა კლინიკური დიაგნოზი: პატაუს სინდრომი – მე-13 ქრომოსომის ტრისომია (კლასიკური ფორმა).

პანკრეასის პოსტტრავმული კისტა (Posttraumatic pancreaticum CYSTA)

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ქირურგიულ სამსახურში (სამსახურის უფროსი ავთანდილ კუტუბიძე,) პაციენტის მკურნალობაში მონაწილეობდნენ კოლეგები ისრაელის წამყვანი კლინიკებიდან (პროფესორები რან შტაინბერგი და იცხაკ ვინოგრადი). დაისვა პანკრეასის პოსტტრავმული კისტის დიაგნოზი.

დაავადების / სინდრომის მიმოხილვა:

პანკრეასის ტრავმის დროს მინიმალური დაზიანებების მკურნალობა რთული არ არის, თუმცა, თავდაპირველ ეტაპზე, სირთულეს წარმოადგენს მათი დიაგნოსტირება. პანკრეასის მძიმე დაზიანების შემთხვევაში, მკურნალობა არის ხანგრძლივი, რთული და პოტენციურად საშიში პაციენტისთვის.

შემთხვევის აღწერა:

წარმოდგენილი კლინიკური შემთხვევა ბავშვთა ქირურგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, რადგან პანკრეასის დახურული ტრავმა და მასთან ასოცირებული გართულებების სიხშირე, სხვადასხვა მონაცემებით, ბევრად უფრო იშვიათად აღინიშნება, ვიდრე ღვიძლის და ელენთის ტრავმა. პაციენტი, მამრობითი სქესის, 9 წლის, მიიყვანეს რაიონულ საავადმყოფოში ჩივილებით: ღებინება, ანორექსია, აბდომინალგია. ამ ჩივილების გამოვლენამდე რამდენიმე დღით ადრე ბავშვმა ველოსიპედით თამაშისას მიიღო ტრავმა. ადგილობრივ კლინიკაში ჩაუტარდა ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევები (პერიფერიული სისხლის ანალიზი, მუცლის ღრუს ექოსკენირება). დაისვა პანკრეასის ტრავმის კლინიკური დიაგნოზი. ჩატარდა პოსტტრავმული ჰემატომის ქირურგიული დრენირება. მიუხედავად ამისა, პაციენტის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა: კვლავ რჩებოდა აბდომინალგია, ღებინება. პაციენტი გადაიყვანეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ქირურგიულ განყოფილებაში.

კლინიკაში შემოსვლისას პაციენტს ჩაუტარდა შემდეგი ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევები: მუცლის ღრუს ექოსკენირება, მუცლის ღრუს კომპიუტერული კვლევა, ორგანოსპეციფიური ფერმენტები – მკვეთრად მომატებული ამილაზას კონცენტრაცია, როგორც სისხლში, ასევე, მუცლის ღრუს დრენირებით მიღებულ სითხეში. მდგომარეობა შეფასდა, როგორც პანკრეასის პოსტტრავმული კისტა. მკურნალობა მიმდინარეობდა EUPSA-ს რეკომენდაციების შესაბამისად: TPN (ტოტალ პარენტერალ ნუტრიტიონ) 25 დღის მანძილზე, ამილაზას და ლიპაზას მუდმივი კონტროლით, კისტის დრენირება კომპიუტერული ტომოგრაფიის ქვეშ. თუმცა, მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, კისტის უკუგანვითარება არ აღინიშნა, გრძელდებოდა დრენაჟიდან გამონადენი ამილაზას მაღალი შემცველობით. გადაწყდა რადიკალური ქირურგიული ჩარევა. ჩატარდა ოპერაცია: მოხდა პანკრეასის კისტის დრენირება კუჭში, კისტის მობილიზება და ჩაკერება კუჭის უკანა კედელში, რის შედეგადაც პაციენტის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მან დაიწყო სრულფასოვანი კვება და ლაბორატორული მონაცემები დაუბრუნდა ნორმის ფარგლებს.

სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი – მნიშვნელოვანი სამეცნიერო ჯერა საქართველოში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტმა დიდი ტკივილი განიცადა დირექტორის, მედიცინის აკადემიური დოქტორის, თეიმურაზ თოფურიას, გარდაცვალების გამო. მიუხედავად ამ დიდი დანაკლისისა, ყველა საქმე, რომელიც ინსტიტუტში ბატონი თეიმურაზის ხელმძღვანელობით კეთდებოდა, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ეს სჭირდება არა მარტო ინსტიტუტს, არამედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს, საქართველოს მეცნიერებას...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტს 25 წელი შეუსრულდა. სამეცნიერო დაწესებულებისთვის, ცხადია, ეს დიდი დრო არ გახლავთ, თუმცა, აქ ჩატარებულმა კვლევებმა დადებითი რეზონანსი გამოიწვია როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

საკმარისია ერთი მაგალითის მოყვანაც: პლაფერონის შექმნა, სხვადასხვა ექსპერიმენტულ მოდელზე მისი გამოცდა (მათ შორის, ნანოტექნოლოგიების გამოყენებით), მოლეკულურ დონეზე მოქმედების მექანიზმების ახსნა და როგორც შედეგი – ფართო სამედიცინო პრაქტიკაში მისი ეფექტური დანერგვა, ახალი სამამულო სამკურნალო პრეპარატების შექმნისთვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. პლაფერონის და პლაფერონ-ლბ-ს ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების შედეგების 500-მდე სტატია გამოქვეყნებულია საქართველოში, ყოფილ საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. დაცულია 26 სადოქტორო და 200-მდე საკანდიდატო დისერტაცია.

სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში კვლევები ამ ტრადიციებით დღესაც გრძელდება – ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ მოდიფიცირებულია ძველი და შექმნილია ახალი სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებები. ამ ნაშრომებმა თანადგომა მიიღო გრანტების სახით (შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, უკრაინის UNTC, შვეიცარიის SCOPES), ინტერესი გამოიწვია ცნობილი სამეცნიერო და კლინიკური ცენტრების უცხოელ პარტნიორებსა (აშშ, ინგლისი, ისრაელი, იტალია, პოლონეთი, ლიტვა) და ზოგიერთ ფარმაცევტულ კომპანიაში.

თსსუ-ის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში კომპლექსური პროგრამის ფარგლებში 2015 წლიდან ხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქრონიკული დაავადებების პრევენცია და მკურნალობა მცენარეული საკვები ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით (პროფესორი ირაკლი ჩხიკვიშვილი);

შესწავლილი მცენარეული მშრალი ექსტრაქტების შედარებითი ანტიოქსიდანტური აქტივობის მიხედვით, გამოკვეთილად მაღალი მაჩვენებლები გააჩნია მწვანე ჩაის და ყავის ნიმუშებს; საკმაოდ მაღალია – მოცვის, სტევიას, დეკას ფოთლებში და წითელი ყურძნის კანში, და უფრო ნაკლები – მანდარინის კანის ექსტრაქტში. შესწავლილია ხორბლის მარცვლის ანტიოქსიდანტური აქტივობა, მათში ბიოაქტიური ნაერთების დინამიკის და მათგან სხვადასხვა ექსტაქტით გამდიდრებული პურის დამზადების თვალსაზრისით. პურის ქარხანაში დამზადებული მცენარეული ექსტრაქტებით გამდიდრებული „ფუნქციური“ პურის დახასიათება.

- ასაკთან ასოცირებული ანთების მარკერების შესწავლა ქართულ პოპულაციაში (პროფესორი ია ფანცულაია);

ასაკობრივ პოპულაციაში (გამოიკვლიეს 100-მდე ჯანმრთელი, 60 წელს გადაცილებული მოხალისე) შესწავლილია ანთებითი ციტოკინებისა და ადიპოკინების დონისა და მათზე მოქმედი პოტენციური რისკ-ფაქტორები. ყველა ინდივიდიდან გამოიყო შრატი, პლაზმა და არსებული მასალა გაიყინა - 800 ჩ-ზე მათი შემდგომი კვლევის მიზნით.

- ბუნებრივი ცეოლიტების, პროტექტორული, ტოქსიკოლოგიური და იმუნომორფოლოგიური ასპექტების შესწავლა და სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატის – DETOX-ZEOLIM-ის შექმნა (პროფესორი ბორის კორსანტია);
- გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის მიღება ბუნებრივი ცეოლიტის საშუალებით (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი სულიკო კუპრაძე);
- ქრონიკულად მოავადე ადამიანთა იმუნორეაბილიტაციისათვის ახალი სამკურნალო საშუალების – „მეგაპროტექსის“ შექმნა (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი თეიმურაზ თოფურია);
- სამი ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა მოსამზადებელი კვლევები, რომლებიც უკავშირდება ბუნებრივი ცეოლიტების პროტექტორულ თვისებებს. როგორც ჩანს, ცეოლიტშემცველ „დიეტას“ შეუძლია გამოიწვიოს უფრო აქტიური იმუნომორფოგენეზი, როგორც ნაწლავებში, ასევე, ცხოველების ლიმფოიდურ ქსოვილში და, როგორც შედეგი – ორგანიზმის იმუნური კომპეტენტურობის მომატება. მინერალზე მიღებული ეს მონაცემები, სხვა მთელ რიგ დადებით ბიოლოგიურ თვისებასთან ერთად, ცხადყოფს ცეოლიტური პრეპარატების მედიცინაში გამოყენების, კერძოდ, სხვადასხვა პათოლოგიის კომპლექსურ თერაპიაში გამოყენების საინტერესო პერსპექტივას.
- გლუკოკორტიკოიდდამოკიდებული ბრონქული ასთმის მკურნალობის უსაფრთხო ალტერნატიული საშუალებების ძიება (პროფესორი გიორგი გურგენიძე);
- დიაბეტის ფონზე მიმდინარე ორსულობის გამოსავალი და მისი კორექცია (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მაკა გონგაძე);
- ანთებითი პროცესების ქრონიზაციის მექანიზმების დადგენა კისტური ფიბროზით დაავადებულებში (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ეკა კვარაცხელია) შესწავლილია ციტოკინების დისრეგულაციის მექანიზმები კისტური ფიბროზის დროს. მიღებული შედეგების საფუძველზე, სავარაუდოა, რომ ამ პათოლოგიის დროს, იმუნური პასუხის დარღვევებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთი ეპიგენეტიკური ცვლილებები, როგორიცაა დნმ-მეთილტრანსფერაზების დონეების დინამიკა და გენომური დნმ-ის გლობალური მეთილირება.
- ციტოკინებისა და T-მარეგულირებელი უჯრედების როლი რევმატოიდული ართრიტის პათოგენეზში (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ნინო ქიქოძე);

კვლევის ამ ეტაპზე მოხდა ღვიძლის კიბოს მქონე პაციენტების პერიფერიული სისხლის მონონუკლეური უჯრედების იმუნოფენოტიპირება RFA პროცედურამდე, ასევე, – პროცედურიდან 1 და 3 თვის შემდეგ. მასალა აღებულია 9 პაციენტიდან. დადგინდა CD4+CD45RA+, CD4+CD45RO+, CD4+HLA-DR+, CD4+CD39+ ფენოტიპის სიხშირე პაციენტების პერიფერიულ სისხლში და მასზე RFA პროცედურის გავლენა. იგივე პაციენტების სისხლიდან გამოიყო შრატი და გაიყინა -800 C-ზე შემდგომში ციტოკინების განსაზღვრის მიზნით.

- ნატრიუმის პროქსიმალური რეაბსორბციის, კარდიოტონური სტეროიდების და მარილმგრძნობელობის გენების ასოციაცია მარილმგრძნობიარე ესენციური ჰიპერტენზიის დროს ქართულ პოპულაციაში (ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ირინა ანდრონიკაშვილი); გამოიკვლიეს 25 ოჯახი, სულ 79 პირი (პრობანდი და ოჯახის წევრი). შეიმუშავეს კვლევის პროტოკოლები და შეავსეს სათანადო კითხვარები ყველა გამოკვლეული პირისთვის. მოხდა ყველა საკვლევი პირის ტიპირება მარილმგრძნობიარობის ტესტის საშუალებით. 25 პრობანდს და მათ მარილმგრძნობიარე ოჯახის წევრებს (სულ 56 პირს) ჩაუტარდათ არტერიული წნევის მონიტორინგი და განესაზღვრათ ცირკადული რითმი, რენინის აქტივობა სისხლის პლაზმაში და ნატრიუმის პროქსიმალური რეაბსორბცია. უაბაინი და მარინობუფაგენინი შემცველობა რაოდენობრივად განისაზღვრა სისხლის პლაზმასა და შარდში მაღალმარილოვანი და დაბალმარილოვანი დიეტების დროს.

„მზერა მომავლისკენ“, რაც თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებათა სივრცეში სრულყოფილ ფუნქციონირებას გულისხმობს, უცვლელი რჩება – უფრო და უფრო მეტი რესურსი და პოტენციალი ვლინდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ურთიერთობის სფეროში. საუნივერსიტეტო სივრცეში სწორი და მიზანმიმართული ადაპტირება შესანიშნავი მაგალითი და ნიმუშია საქმიანი, პროფესიული და მეგობრული ურთიერთთანამშრომლობისა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების მოსაგვარებლად.

გამოსათხოვარი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია და სტუდენტები, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 53 წლის ასაკში გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი თეიმურაზ თოფურია.

ბატონი თეიმურაზი არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, რაციონალიზატორული წინადადების, საინტერესო იდეისა და პროექტის ავტორია.

ბატონი თეიმურაზის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო გენეტიკური პათოლოგია – კისტური ფიბროზი. მისი ძალისხმევით შეიქმნა კისტური ფიბროზით დაავადებულთა მკურნალობის ორიგინალური სქემა და სპეციალიზებული დახმარების სისტემა. მას არაერთი მიზნობრივი საერთაშორისო დაფინანსება ჰქონდა მოპოვებული ამ და სხვა სერიოზულ პათოლოგიათა კვლევისათვის. იგი აქტიურად მუშაობდა ნივთიერებათა ცვლის მოშლის საკითხებსა და ეკოლოგიური მედიცინის აქტუალურ ასპექტებზე.

ბატონი თეიმურაზ თოფურია პრაქტიკული ჯანდაცვის პრობლემების მოსაგვარებელ მართლაც რომ მარათონულ ბრძოლაში იყო ჩაბმული. „ჩვენთვის პრიორიტეტულია ვირუსული დაავადებების კვლევის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სპეციალური მეთოდებისა და პრეპარატების შემუშავება. აღსანიშნავია, რომ პრეპარატების შემუშავება არ არის მხოლოდ ახალი სამკურნალწამლო ფორმების წარმოება, უმთავრესია მათი კლინიკაში დანერგვა და, ამდენად, იგი ჯანმრთელობის დაცვასთან მიბმული პროცესია”, – ამბობდა ბატონი თემური ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდას ანიჭებდა. ყოველთვის ცდილობდა, დახმარებოდა მოაზროვნე ახალგაზრდობას პროფესიულ და აკადემიურ განვითარებასა და წინსვლაში. ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი მუდმივ ზრდა-განვითარებას მოითხოვს. „მზერა მომავლისკენ“ იყო ის, რისკენაც იგი განუწყვეტლივ ისწრაფვოდა.

ძნელია ასეთ ადრეულ ასაკში დაემშვიდობო პიროვნებას, რომელშიც ასე ორგანულად იყო შერწყმული მოქალაქეობრივი, პატრიოტული, პროფესიული და ადამიანური ღირსებები. მას კიდევ ძალიან ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისათვის.

გულისტკივილით ვემშვიდობებით თეიმურაზ თოფურიას. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება თითოეული ჩვენგანის გულსა და მეხსიერებაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,
თსსუ-ის ვლადიმერ ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი

ქალბატონი ლია ბელელაძის გახსენება

იშვიათად გაგვჭირვებია სათქმელის ფურცელზე გადატანა ისე, როგორც ახლა... ეს ალბათ იმ გაუნელებელი ტკივილის ბრალია, ქალბატონი ლია ბელელაძის მოულოდნელად წასვლამ რომ დაგვიტოვა.

მუდამ საოცრად თბილი, ხალისიანი და მოსიყვარულე, ამავე დროს, ყოველთვის თავდაჭერილი საკუთარი გრძნობების გამოხატვისას... ხასიათის ეს შტრიხი ჩვენც და მის აღზრდილებსაც მოკრძალებით განგვაწყობდა მის მიმართ. ქალბატონ ლიას მიაჩნდა, რომ პედაგოგისადმი პატივისცემისა და სიყვარულის უმთავრეს დასტურად ბეჯითი და პატიოსანი შრომა უნდა ყოფილიყო.

დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ ასე არ არის. დრომ მხოლოდ თავზარდამცემი ელდა გააქრო, თორემ ტკივილი ისეთივე ღრმა და მოუშუშებელი დაგვრჩა, როგორიც იმ საშინელ დღეებში გვქონდა.

ჩვენ ნელ-ნელა ვეჩვევით უთქვენოდ ცხოვრებას. გვიჭირდა და გვიჭირს. ძალიან გვენატრებით და ისეთი შეგრძნება გვეუფლება, რომ თითქოს ეს-ესაა გაიღება კარი და თქვენს მშვენიერ და მუდამ მომღიმარ სახეს კიდევ ერთხელ შევხედავთ. თქვენი ალერსიანი ხმა გამუდმებით გვავსებდა საოცარი სითბოთი და სიყვარულით.

გული გვწყდება, რომ სიცოცხლეში უფრო ხშირად ვერ გეფერებოდით. მშვიდად ვიყავით, რადგან გვერდით დედასავით ძლიერად გვედექით, თქვენ ხომ საოცრად კეთილგანწყობილი იყავით ყველა ასაკის ადამიანის მიმართ.

თავს ვიმშვიდებთ: როგორ შეიძლება, სიცოცხლეში არ ეგრძნო, ასე ძალიან რომ გვიყვარდა-თქო. ყველაფერი, რაც ამ დიდებულ პიროვნებასთან გვაკავშირებს, არასოდეს იქცევა მხოლოდ მოგონებად. ალბათ ესაა სწორედ ადამიანის უკვდავება. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს თქვენს მშვენიერ სულს და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათონ მარადიული სასუფევლისკენ მიმავალი გზა.

თსსუ-ის მოსამზადებელი ცენტრის
ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის
სახელით, ცენტრის დირექტორი
გრიგოლ სულაგერიძე

ფასდაუდებელი ღვაწლი

პროფილაქტიკური მედიცინის თვალსაჩინო მოღვაწეს, პროფესორ კლარა გელაშვილს, დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

პროგრესული იდეების ავტორი და მათი განხორციელების დიდოსტატი, ქალბატონი კლარა, გელაშვილი ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობით, მუდამ მოწინავე პოზიციაზე იყო.

იგი 1931 წლის 21 იანვარს დაიბადა თბილისში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მთელი თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა მიუძღვნა მედიცინის მეტად რთულ და შედარებით ახალ მიმართულებებს – რადიოლოგიასა და რადიაციულ ჰიგიენას. ცხოვრების თანამგზავრსა და ერთგულ მეგობართან – პროფესორ რევაზ ვეფხვაძესთან ერთად, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რადიოლოგიის, როგორც ახალი და პროგრესული სამეცნიერო მიმართულების, საქართველოში დამკვიდრებასა და განვითარებაში.

განუზომელია მისი წვლილი რადიაციული ჰიგიენის, როგორც პროფილაქტიკური მედიცინის შედარებით ახალი მიმართულების სფეროში, ამ დისციპლინის სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემაში დანერგვის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სანიტარიულ-ჰიგიენური (ამჟამად – საზოგადოებრივი ჯანდაცვის) ფაკულტეტის სასწავლო გეგმაში შეიტანეს ახალი დისციპლინა – რადიაციული ჰიგიენა.

რადიაციული ჰიგიენის სწავლებას ქალბატონი კლარა ხელმძღვანელობდა 1981 წლიდან. გახლდათ კომუნალური და რადიაციული ჰიგიენის კათედრის გამგე 1987-2001 წლებში.

ქალბატონი კლარა აგრძელებს აქტიურ საქმიანობას – მისი უშუალო ხელმძღვანელობით, თანაავტორებთან ერთად, მომზადდა და 2007 წელს გამოიცა სახელმძღვანელო სტუდენტებისა და ექიმებისთვის – „რადიაციული ჰიგიენა“, რომელიც მის მიერ 1976 და 1983 წლებში გამოცემული სახელმძღვანელოს გადამუშავებული და სრულიად ახალი, თანამედროვე ინფორმაციით შევსებული გამოცემაა. ქალბატონი კლარას თანადგომით, აღნიშნული სახელმძღვანელო ახალი რედაქციით, 2014 წელს ისევ გამოიცა.

დიდია ქალბატონ კლარას ღვაწლი საქართველოს რადიოეკოლოგიის აქტუალური საკითხების დამუშავებაში. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 5 საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც საქართველოს რადიოეკოლოგიის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა; გამოქვეყნებულია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 2 მონოგრაფია და 7 სახელმძღვანელო. არის ერთი გამოგონების ავტორი. უშუალოდ მისი და მისი მოწაფეების სამეცნიერო კვლევების შედეგები დაედო საფუძვლად საქართველოს რადიაციული რუკის შედგენას, რომელიც მსოფლიო რადიაციულ ატლასში შესატანად გაიგზავნა.

ქალბატონმა კლარამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროფილაქტიკური მედიცინის და, კერძოდ, ჰიგიენის მიმართულების ექიმ-სპეციალისტთა მომზადების საქმეში. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით ჩამოყალიბებულ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფილაქტიკური მედიცინის სპეციალობების ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების კურსებს; წლების მანძილზე იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექიმთა სახელმწიფო სერტიფიცირების კომისიის თავმჯდომარე ჰიგიენის სპეციალობებში.

ქალბატონი კლარა თითქმის 10 წელი საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გახლდათ, ამჟამად საპატიო პრეზიდენტია. ეს პერიოდი საუკეთესო იყო აკადემიის ისტორიაში: გამოიცა აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებულის 4 ტომი, ჩატარდა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენცია (ბორჯომში, ბათუმში, სიღნაღში), კონსულტაციები პრაქტიკოსი ექიმებისთვის, მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევები და ა.შ.

ქალბატონ კლარას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეროვნული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატიული ბაზის შექმნასა და განვითარებაში. იგი არაერთი ნორმატიული დოკუმენტის შემუშავების ავტორი და ხელმძღვანელია. უშუალოდ მან მოამზადა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაამტკიცა საქართველოს ისტორიაში პირველი ეროვნული ნორმატიული დოკუმენტი – რადიაციული უსაფრთხოების ნორმები (რუნ-2000), რაც, უდავოდ, საამაყოა.

პროფესორი კლარა გელაშვილი ყოველთვის იყო იდეების აქტიური დამნერგავი და საუკეთესო მაგალითი ახალგაზრდა კოლეგებისთვის თუ როგორ უნდა ემსახურო საკუთარ პროფესიას, მეცნიერებას, ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდას და, საერთოდ – ქვეყანას. სახელმწიფომ მისი შრომა ღირსეულად დააფასა – არის „ღირსების ორდენის“ კავალერი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გადაცემული დიდი ოქროს მედლის მფლობელი.

სიყვარულით ვულოცავთ ქალბატონ კლარა გელაშვილს 85 წლის იუბილეს. ვუსურვებთ სიმტკიცეს, ჯანმრთელობას, მხნეობას, სიხარულს მრავალრიცხოვანი მოწაფეებისა თუ ოჯახის წევრთა წარმატებებით, მშობლიური – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინსვლით, საყვარელი სამშობლოს გაძლიერებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი
გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტი

პროფესორი ვადიმ სააკაძე 85 წლისაა

ღვაწლმოსილ მეცნიერსა და პედაგოგს, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვადიმ სააკაძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

85 წელი გასულა დაუცხრომელ შრომასა და ძიებაში, ცხოვრებისეულ შეჭირვებასა თუ სიხარულში, პედაგოგიურ და შემოქმედებით წარმატებებში, მოყვასის უანგარო სიყვარულში.

ბატონი ვადიმი ეკუთვნის იმ მადლმოსილ ადამიანთა რიცხვს, რომელთა თითოეული ნაბიჯი, ბავშვობიდან სიბერემდე, ნათელი იდეალებითაა შთაგონებული. მთელი მისი ცხოვრება პროფესიონალიზმისა და მეცნიერებისადმი თავდადებული მსახურების არა მარტო თვალსაჩინო მაგალითია, არამედ სულიერი სიწმინდისა და სიფაქიზის, სამართლიანობის, ერთგულების, თავმდაბლობის, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების ეტალონიცაა.

პედაგოგებისა და უფროსი კოლეგების დამფასებელი და პატივისმცემელი, საყოველთაო სიყვარულით იყო და არის გარემოცული პაციენტების, კოლეგებისა და სტუდენტების მხრიდან. მას მუდამ ერთგულ და უღალატო მეგობრად მიიჩნევდნენ, როგორც თანატოლები, ისე, ბევრად უფროსნი და უმცროსნიც.

შემოქმედებითი წარმატებებით დახუნძლული, მაგრამ რთული ცხოვრების გზა განვლო ბატონმა ვადიმმა.

ვადიმ სააკაძე დაიბადა თბილისში 1931 წლის 21 მაისს; 1949 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის 28-ე ვაჟთა საშუალო სკოლა, ხოლო 1956 წელს – წარჩინებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. პროფესიული საქმიანობა დაიწყო რუსთავის ქალაქის საავადმყოფოს თერაპიის განყოფილებაში ჯერ ორდინატორად და უფროს ორდინატორად, შემდეგ კი – განყოფილების გამგედ (1957-1961 წ.წ.).

ბატონმა ვადიმმა პროფესიული დოსტატების დიდი სკოლა გაიარა ნ. მახვილაძის სახელობის შრომის, ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან პროფესიულ დაავადებათა განყოფილების გამგის თანამდებობამდე (1961-1973 წ.წ.). ბატონმა ვადიმმა მოსკოვში დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, შემდეგ კი — მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი; ამ პერიოდიდან დამკვიდრდა მისი პროფესიული და აკადემიური სიტყვის შეუვალი ავტორიტეტი და ჩამოყალიბდა ნაყოფიერი საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტები.

ვ. სააკაძის სამეცნიერო კვლევის საგანი საქართველოში გავრცელებული პროფესიული დაავადებების პრაქტიკულად ყველა სახეობა იყო, მაგრამ მისი საქმიანობა, უმთავრესად, პროფესიული პათოლოგიის ახალი სამეცნიერო მიმართულების – პროფესიული ალერგოლოგიის შექმნისა და განვითარებისკენ წარიმართა. ამ სფეროში მისი დაუღალავი მოღვაწეობის ნაყოფია 240-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, პროფესიულ ალერგოლოგიაში მოღვაწე სპეციალისტთა სკოლა, რისთვისაც მიიღო საქართველოს მთავრობის მაღალი ჯილდო – „ღირსების ორდენი“. დაჯილდოებულია, აგრეთვე, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

ჯერ კიდევ ნ. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში ბატონი ვადიმი პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რაც მისი პედაგოგისა და უფროსი კოლეგის, საქართველოში პროფესიულ დაავადებათა კვლევის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორი სალომე ყიფიანის ინიციატივით მოხდა; 1973 წლიდან კი, პროფესორ მელენტი ყურაშვილის რეკომენდაციით და თანადგომით, ბატონი ვადიმის შემდგომი მუშაობა მთლიანად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს (ამჟამად უნივერსიტეტს) დაუკავშირდა. შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა კათედრაზე მას ჯერ დოცენტის (1973-1984 წწ), შემდეგ პროფესორის (1984-1991 წწ) თანამდებობა ეკავა; 1991 წლიდან, თერთმეტი წლის განმავლობაში, კი თავად განაგებდა ამ კათედრას.

სამედიცინო უნივერსიტეტში ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ბატონი ვადიმი წლების განმავლობაში წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას, სხვადასხვა სამეცნიერო და ადმინისტრაციული თანამდებობის აღსრულებას. 1994 წელს აირჩიეს პროფილაქტიკური მედიცინისა და ადამიანის ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტად, შემდგომ – საპატიო აკადემიკოსად; 1996 წელს – საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 2000 წელს – საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 2007 წელს – აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

1972-1987 წლებში მუშაობდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ სპეციალისტად პროფესიული პათოლოგიის მიმართულებით; 1989-1996 წლებში – სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივნად, ხოლო 1996-2006 წლებში – თავმჯდომარედ; 1994-2006 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო წოდებების მიმნიჭებელი პროფესორთა საბჭოს სწავლული მდივანია; 1994-1999 წლებში – ამავე უნივერსიტეტის პროფილაქტიკური მედიცინისა და სამედიცინო ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, 1999-2003 წლებში – საუნივერსიტეტო ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, 1999-2006 წლებში – ამავე ინსტიტუტის ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის განყოფილების გამგე, 2006 წლიდან – სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემლობისა და „საქართველოს სამედიცინო ენციკლოპედიის“ სარედაქციო საბჭოს სწავლული მდივანია; 2008-2013 წ.წ. – სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის რედაქტორ-ანალიტიკოსი.

უმთავრესი მაინც ბატონი ვადიმის პედაგოგიური მოღვაწეობაა: დახვეწილი დიდაქტიკური მანერით, აზრითა და ემოციით დამუხტული მისი ლექციები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე, ცოდნისმოყვარეობასა და მეცნიერებისადმი უანგარო მსახურებას შთააგონებდა ახალგაზრდებს. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით დაცულია 20-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ვადიმ სააკაძის ავტორობითა და თანაავტორობით შექმნილ მრავალრიცხოვან სამეცნიერო ნაშრომთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 5 მონოგრაფია და 7 საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომელთაგან ერთისთვის („პროფესიული დაავადებები“) ავტორს მიენიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ილარიონ ქართველის პრემია“ და გადაეცა დიდი ვერცხლის მედალი (2002 წ.). იგი თანაავტორია ლენინგრადში (ამჟამად სანკტ-პეტერბურგი) გამოცემული „პროფესიულ დაავადებათა ცნობარისა“. მის მიერაა რედაქტირებული ათობით სოლიდური სამეცნიერო გამოცემა. ბატონი ვადიმი წლების განმავლობაში მუშაობდა სამეცნიერო სამედიცინო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებისა და საბჭოების წევრად, უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულების სწავლულ მდივნად, იყო საქართველოს ასთმოლოგთა, ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი.

ბატონი ვადიმ სააკაძის თითოეული პუბლიკაცია თუ საჯარო გამოსვლა გამოირჩეოდა აკადემიურობითა და დახვეწილობით, პრობლემური საკითხების მასშტაბური დასმით და გადაწყვეტის გზების დასახვით. ოპონენტებთან თავშეკავებულ, მაგრამ პრინციპულ მოკამათეს, ყოველთვის ჰქონდა ალტერნატიული აზრის მოსმენისა და ობიექტურად განსჯის შესანიშნავი უნარი.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, ჯანსაღი აზრისადმი აქტიური მხარდაჭერა და თანადგომა ბატონი ვადიმის ყოველ სიტყვასა და მოქმედებაში გამოსჭვივის. ამ შტრიხის გარეშე მისი პორტრეტი არასრული იქნებოდა.

ბატონი ვადიმი არასოდეს ყოფილა ჩაკეტილი ვიწრო პროფესიულ ინტერესებში. მისი ერუდიცია მოიცავს ქართული და არა მარტო ქართული ლიტერატურისა და კულტურის ღრმა ცოდნას; იგი ბრწყინვალე მოსაუბრე და დახვეწილი, აკადემიური წერის კულტურის მქონე ექიმი, პედაგოგი და მეცნიერია.

ბატონი ვადიმის ცხოვრების წესი მუდამ იყო სიბეჯითე, მოწესრიგებულობა, საკუთარი თავისადმი უკიდურესი მომთხოვნელობა, რაც მთავარია – მაღალი სულიერება და სიკეთე; სწორედ ამ გამორჩეულმა ჰუმანისტურმა თვისებებმა განსაზღვრა არჩევანი და „ტაძრისკენ მიმავალი გზა“, რომელზეც დღეს ღირსეულად მიაბიჯებს ბატონი ვადიმი.

სიყვარულით ვულოცავთ ბატონ ვადიმ სააკაძეს 85 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ქვეყნის სასიკეთოდ!

ბატონო ვადიმ, გვიყვარხართ და მადლიერი ვართ თქვენი!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი
გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტი

მედიცინა და მუსიკა - ცხოვრების წესი

ჩვენს უნივერსიტეტში შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდები, როგორც ყოველთვის, დღესაც მრავლად არიან და როცა საქმე ხელოვნებას ეხება, ისინი მართლაც „არ ხუმრობენ“. ზოგისთვის ხელოვნების ესა თუ ის სფერო მხოლოდ ჰობი და განტვირთვის საშუალებაა, რაზეც ისინი, დატვირთული რეჟიმის შემდეგ, სიამოვნებით გადაერთვებიან ხოლმე... აი, ჩვენი რესპონდენტისთვის კი მუსიკა არა მხოლოდ განტვირთვის, არამედ გამოხატვის საშუალება და ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომლის გარეშეც საკუთარი თავი ვერც დღეს და ვერც მომავალში წარმოუდგენია.



მიშიკო დუმბაძე მედიცინის ფაკულტეტის მეორეკურსელია, რომელმაც პუბლიკას კარგად დაამახსოვრა თავი უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს გამართული კონცერტებიდან. მან ზუსტად იცის, რა მნიშვნელობა აქვს მის ცხოვრებაში მუსიკას, ამავდროულად, კარგად აქვს გააზრებული რატომ უნდა ექიმობა. მუსიკოსობის და ექიმობის მსგავსებაზეც შთაგონებით საუბრობს და მიიჩნევს, რომ ორივე არა მხოლოდ პროფესია, არამედ ცხოვრების წესია – თავდაუზოგავი შრომის, აზროვნების, ძიების, სიახლეების აღმოჩენის და შედეგით მიღებული სიამოვნების გათვალისწინებით...

ვერ ვიტყვით, რომ მუსიკისადმი მის ინტერესს ოჯახური ტრადიცია ასაზრდოებდა – ოჯახში არავინ იყო პროფესიონალი მუსიკოსი; უცნაურია, რომ 6 წლისამ არა მხოლოდ მუსიკალურ სასწავლებელში შეყვანის, არამედ, შესაძლო სიზარმაცის შემთხვევაში, სწავლის იძულებით გაგრძელების პირობაც წინასწარ „გამოთხოვა“ დედას. ყველაფერი პირობისამებრ წარიმართა და ექვსწლედის დასრულების შემდეგ, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის I საჯარო სკოლაში სწავლის პარალელურად, უკვე ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სკოლაში გაგრძელა სწავლა. მუსიკა კიდევ უფრო შეაყვარა მასწავლებელმა, საქართველოს დამსახურებულმა პედაგოგმა, რესპუბლიკური პრემიის ლაურეატმა, ქალბატონმა **ინგა ბოცვაძემ**, რომლის წვლილსაც განუზომლად აფასებს. და ვინაიდან ქალბატონი ინგას მაესტრო ცნობილი მუსიკოსი, არაერთი სახელოვანი პიანისტის (ალექსანდრე კორსანტია, ელისო ბოლქვაძე, ხატია ბუნიათიშვილი...) აღმზრდელი და პედაგოგი, ბატონი **თენგიზ ამირეჯიბი** გახლდათ, ჩვენი რესპონდენტიც მისი სკოლის წარმომადგენლად მოიაზრება, რაც ეამაყება.

საყვარელ პიანისტებად **ელისო ვირსალაძეს** და **მარტა არგერიხს** ასახელებს – აღფრთოვანებულია მათი გამომსახველობით და შესრულების ტექნიკით. „მუსიკას, როგორც პოეზიას აქვს მომნუსხველი, განსაკუთრებული ზემოქმედების ძალა, არსებობენ გიგანტი კერპებიც – შოპენი, მოცარტი, ბეთჰოვენი, ისე, როგორც პოეზიაში – რუსთაველი, ვაჟა, გალაკტიონი... – ამბობს ჩვენი ახალგაზრდა რესპონდენტი, რომელიც სიამოვნებით გვესაუბრება სხვა, საბუნებისმეტყველო საგნებისადმი ინტერესზეც, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა მისი პროფესიული არჩევანი. ოცნებობს გახდეს ექიმი, რომელიც შეძლებს სასოწარკვეთილი ადამიანის თვალებში იმედის ნაპერწკლის ანთებას. მადლიერებას გამოხატავს ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, პროფესორ-მასწავლებლების მიმართ თსსუ-ში არსებული სწავლისთვის შესაფერი გარემოსა და პირობებისთვის. სწავლას სიამოვნებით უთავსებს მუსიკისადმი ინტერესს, რაშიც სპორტის და ხელოვნების ცენტრთან არსებული საფორტეპიანო კლასი ეხმარება. აქ, კვირაში ორჯერ, იკრიბებიან მუსიკისმოყვარული სტუდენტები. ზოგი მათგანი სულ თავიდან, ნოტების შესწავლით, იწყებს მუსიკასთან ზიარებას, სხვები მუსიკალურ კომპოზიციებს არჩევენ, სწავლობენ ახალ ნაწარმოებებს, რაშიც საფორტეპიანო კლასის ხელმძღვანელი, ბატონი გოდერძი ჩიტაიშვილი ეხმარებათ. გაწეულ შრომას წლის ბოლოს გამართულ კონცერტზე აჯამებენ და სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და რეგიონებში გამართულ კონცერტებშიც ხშირად მონაწილეობენ. სწორედ აქ ნასწავლი ახალი ნაწარმოებით წარდგება იგი საყვარელი პედაგოგის, ქალბატონი ინგა ბოცვაძის იუბილეს აღსანიშნავ კონცერტზე, რომელიც ზაფხულში ბათუმში გაიმართება.

ჯერ არ იცის, რა მიმართულებით წავა მედიცინაში, თუმცა იცის, რომ ბევრი შრომა დასჭირდება მიზნის მისაღწევად; სირთულეები არ აშინებს და სჯერა: ყველაფერი გაცილებით გაუადვილდება, რადგან ექიმის საპასუხისმგებლო და ჰუმანურ პროფესიაში გაღებული ენერგია მუსიკის უკიდეგანო და ყოვლისმომცველი სამყაროდან დაუბრუნდება, რომელიც ასე კარგად ნაცნობი და ახლობელია მისთვის...

ნატო ბოლქვაძე

შეუცვლელი სპეციალისტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დიდი ორგანიზმია, რომელიც ბევრი ადამიანის თავდაუზოგავი შრომის შედეგად არსებობს. **ანზორ თვარაძე** ერთ-ერთი მათგანია – უხმაურო და შრომისმოყვარე, თავმდაბალი და თავისი საქმის უზადო მცოდნე. ის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტში სატელეფონო კომუნიკაციების მეურნეობის უფროსი სპეციალისტია და შეუცვლელი კადრია, რადგან მის გარეშე შიდა და გარე კომუნიკაცია წარმოუდგენელია უნივერსიტეტისთვის. სატელეფონო მეურნეობის გამართულ მუშაობაში უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული. საქმე ძალიან ბევრი აქვს. ამიტომაცაა, ბატონი ანზორი შვებულებაშიც ძალიან ცოტა ხნით გადის, ისიც მაშინ, როცა მშობლიურ ლეჩხუმს უნდა ეწვიოს, ლაილაშის მიწის მადლი შეიგრძნოს, ისევ იმიტომ, რომ მერე ქალაქში დაბრუნებული, წინაპრების სულიერი ენერგიით ავსებული, საყვარელ საქმეს დაუბრუნდეს:

– შვებულებაში რომ გავდივარ, აქაურობის დარდი მიმყვება. სულ 5-ან 7 დღე თუ გავჩერდი და მერე ისევ აქეთ მომიწევს გული. საქმე სულ მაქვს. რომ ვიცი, რაღაც გასაკეთებელია, რა მომასვენებს?! – ამბობს გულწრფელად. მართლაც ვერ ისვენებს, ხვალ გასაკეთებელ საქმესაც კი დღეს აკეთებს...

ბატონი ანზორი არის ადამიანი, რომელიც მუდმივად მზად არის კეთილსინდისიერად შეასრულოს საქმე, რადგან იცის, მისი მარჯვე ხელი სჭირდება უნივერსიტეტს.

უხმაუროდ შემოდის სამედიცინო უნივერსიტეტის კორპუსებში თავისი განუყრელი ჩანთით და ხარვეზის „სადიაგნოსტიკო“ ტელეფონის ყურმილით. 55 წელია ამ საქმეს ემსახურება, აქედან ლამის 20 წელი სამედიცინო უნივერსიტეტში აქვს გატარებული. საყვარელი უნივერსიტეტისადმი მისი დამოკიდებულება წლებით არ იზომება. წლებით არც ცხოვრების ხარისხი იზომება. ამიტომაც თავად ნაკლებად ფიქრობს იმაზე, რომ სულ მალე, 1 მაისს, 75 წელი შეუსრულდება...

მართლაც და, წლები რაა... მთავარია ის სიკეთე, რომელიც მისი ხელიდან გამოდიოდა და გამოდის, რომელსაც ხედავს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი. სწორედ ამიტომაც უმჟღავნებენ დიდ სიყვარულს თავისი საქმის პროფესიონალს, შეუცვლელ სპეციალისტს, ანზორ თვარაძეს – კაცს, რომელიც ასე სჭირდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს.

განახლებული სახელმძღვანელო „გარემოს მედიცინის საფუძვლები“

გამოვიდა განახლებული სახელმძღვანელო – რევაზ კვერენჩხილაძის „გარემოს მედიცინის საფუძვლები“ (თბილისი: 2016. – 286 გვ. 16 ცხრილი, 20 სურათი, 3 დანართი).

წიგნი წარმოადგენს ქართულ ენაზე 2014 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს მეორე, შევსებულ და გადამუშავებულ, გამოცემას. მასში დამატებულია განხილულ საკითხებზე არსებული მთელი რიგი ფაქტობრივი მასალა, შევსებულია საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა, სახელმძღვანელოს ზოგიერთი თავი გადამუშავებულია მისი ფორმისა და შინაარსის ოპტიმიზაციის მიმართულებით, განახლებულია საკონტროლო ტესტების ნაწილი.

სახელმძღვანელო შედგება 7 თავისგან, რომლებშიც თანმიმდევრულად განხილულია გარემოს მედიცინის აქტუალური საკითხები, რომელთა შესწავლა ხელს შეუწყობს სტუდენტის პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებას.

სახელმძღვანელოში, დანართის სახით, წარმოდგენილია განხილული საკითხების ათვისების ხარისხის მაკონტროლებელი ტესტები, აგრეთვე სიტუაციური ამოცანების კომპლექსის ნიმუშები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების საბაკალავრო და, საჭიროებისამებრ, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის. ამასთან ერთად, იგი დაეხმარება მკვლევრებს, ასევე, გარემოს ფაქტორების მდგომარეობისა და მოსახლეობის ცხოვრების სანიტარიულ პირობებსა თუ ჯანმრთელობაზე მათი გავლენის (გარემოს მედიცინის) შესწავლით დაინტერესებულ სხვადასხვა სპეციალობის პირებს.

სახელმძღვანელოს რედაქტორებია: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირინე კვაჭაძე და მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ლალი ბაქრაძე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ წიგნი დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელმძღვანელოდ (ოქმი №24/6, 2016 წლის 25 თებერვალი).

ექიმი გაშე პაციენტმა უპვდავყო

ვან გოგის ერთ-ერთ წერილში წერია: „ეტიუდები, რომლებიც ვახსენე, გაშესთვის დავხატე; მინდოდა, ეგრძნო, რომ სიკეთეს უსათუოდ გადავუხდით, ფულით თუ არა, – სურათებით“.



ვან გოგმა მართლაც გადაუხადა თავის მკურნალ ექიმს სიკეთის საფასური. გაშეს სახელი მანამ იქნება აქტუალური, ვიდრე გენიალური მხატვრის ბიოგრაფიით დაინტერესდებიან და მისი ავადმყოფობის ისტორიას შეისწავლიან.

ვინსენტ ვან გოგის პირადი ექიმი გაშე, ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ მის სახელს უკვდავებას სწორედ ცნობილი პაციენტი აზიარებდა. გაშეს დღეს იცნობენ, რადგან ვან გოგის ექიმი იყო... მან გაცილებით ადრე შეაფასა და დააფასა ვან გოგის ნიჭი.

გენიოსი პაციენტი თავის ძმას სწერდა:

„ამ კვირაში ექიმ გაშეს ალბათ ნახავ. მას პისაროს ერთი ლამაზი სურათი აქვს - ზამთარი, დათოვლილი წითელი სახლი, სეზანის ორი საუცხოო თაიგული და მისი კიდევ ერთი სურათი - სოფლის ხედი...

სახლი სავსე აქვს ძველისძველი გაჭვარტლული ხარახურით. გამონაკლისი ზემონახსენებ იმპრესიონისტთა სურათებია. მან საკმაოდ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. საუბარი წამოვიწყეთ ბელგიაზე, ძველი დროის ოსტატებზე და მისი სახე - უსიცოცხლო და ნაღვლიანი - კვლავ ღიმილმა გაანათა. მჯერა, უთუოდ დავმეგობრდებით და მის პორტრეტსაც დავხატავ.

მერე მირჩია, გაბედულად იმუშავე, ბევრი ხატე, რაც მოხდა, იმაზე ნურც იფიქრებო“.

დოქტორი გაშე კიდევ არაერთ წერილში ჰყავს ნახსენები, მხატვარმა მისი ორი ცნობილი პორტრეტიც შექმნა:

„ახლა გაშეს პორტრეტს ვხატავ: თავზე თეთრი ქუდი ახურავს, თმა ძალზე ღია ფერისა აქვს, თითქმის უბრწყინავს; ხელის მტევნებიც ღია ფერითაა დახატული; ქურთუკი ლურჯი აცვია; სურათის ფონი კობალტის ფერია. გაშე წითელ მაგიდაზეა დაყრდნობილი, იქვე ყვითელი წიგნი უდევს, სასუტელას რტოც - ლილისფერი ყვავილებით. განწყობა ისეთივეა, როცა აქეთ მოვდიოდი. ბატონი გაშე გადაირია, ისე მოსწონს ეს პორტრეტი. მთხოვს, თუ საერთოდ შეიძლება, სწორედ ასეთი მისთვისაც დავხატო. ეს კი მეც მინდა. ახლა უკვე „არლელი ქალის“ ბოლო პორტრეტიც მოეწონა - ამ სურათის ვარდისფერი ვარიანტი შენთანაა. ყოველთვის, როცა ჩემს ეტიუდებს ათვალიერებს, გაშე ისევ ამ ორ პორტრეტს უბრუნდება და აღტაცებას ვეღარ ფარავს“.

საინტერესოა, ვან გოგის დიაგნოზი ექიმ გაშეს სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი, დოქტორ რეის – სხვაგვარად. დოქტორ რეის დიაგნოზი დოქტორმა პეირონმაც დაადასტურა. ისინი ორივენი თვლიდნენ რომ ვინსენტ ვან გოგის დიაგნოზი ეპილეფსიას უკავშირდებოდა, როცა გაშე შიზოფრენიაზე ფიქრობდა...

მას მერე გენიოსის დიაგნოზით ბევრი ექიმი დაინტერესდა. ერთნი თვლიდნენ, რომ ეს დიფუზიური მენინგო-ენცეფალიტი იყო, მეორენი – შიზოფრენია, მესამე – ფსიქიკური დეგენერაცია და კონსტრუქციული ფსიქოპათია (პერუსე, 1973) ერთი რამ კი ცხადი იყო, დაავადებას ვან გოგის შემოქმედებით პოტენციალზე ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია და როგორც დრომ აჩვენა, მან გენიალურ მხატვართა არც თუ მრავალრიცხოვან სიაში დაიმკვიდრა ადგილი.

„ვან გოგი ხატავდა გენიალურ სურათებს შეტევებს შორის ინტერვალში. მისი გენიალობის მთავარი საიდუმლო იყო შემეცნების არაჩვეულებრივი სიცხადე, რომელიც შეტევათა შორის პერიოდს ემთხვეოდა“ (კანდიბა, 1998).

თავად ვინსენტ ვან გოგიც ხვდებოდა, რომ დაავადება, რომელიც მას პერიოდულად უმწვავდებოდა, ფერწერაში მუშაობაში ხელს არ უშლიდა. „ჩემს დაავადებასთან დაკავშირებით ვფიქრობ სხვა მხატვრებზე, რომლებიც ასევე ავადმყოფობენ. ეს მდგომარეობა ხელს არ უშლის ფერწერას. საქმე ამ შემთხვევაში ასეა, თითქოს სულ არ არსებობს დაავადება“.

თუმცა, დაავადება რომ არსებობდა, ცალსახა იყო და ამის გამო არაერთხელ იწვა კიდეც საავადმყოფოში. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნახატი – „ვარსკვლავიანი ღამე“ 1889 წელს ქალაქ სენ-რემის საავადმყოფოში შეიქმნა.

მკვლევრები, მედიკოსებთან კონსულტირების შემდეგ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ვან გოგის თვითმყოფადობის გასაღები, ნაწილობრივ მაინც, მის დაავადებასა და მკურნალობაში იმალება. ფიქრობენ, რომ ყვითელი ფერისა და ჩრდილების სიხშირე მის შემოქმედებაში დიდი რაოდენობით ეპილეფსიის წამლებისა მიღებითაა განპირობებული, ეს გამოიწვია აბსენტის ზედმეტი ოდენობით მიღებამ. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ის ასე ხედავდა კიდეც ყველაფერს, განსაკუთრებულად ყვითელ ტონალობაში...

„სამედიცინო გაზეთის“
რედაქცია
ვაჟა-ფშაველას
გამზირი №33,
ოთახი №600,
ტ.: 254-24-64
რედაქტორი
ლელა ჯიყაშვილი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა
newspapertsmu@gmail.com